

ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

_ 31.01.2012_ №_12_

თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 24 იანვრის №12/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანებებისა და „მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 24 იანვრის №84 ბრძანებისა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 31 იანვრის №591 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (3 – 15 თებერვალი www.eqe.ge), განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 16 თებერვლიდან 19 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ

ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 21 თებერვლისა;

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 3-ით;
6. ძალაში დარჩეს სტუ-ს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის N 90 ბრძანება;
7. 2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით მისი წარდგენა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2012 წლის 22 თებერვლისა;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
9. ბრძანება განთავსდეს ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი

ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე